

კვლევა მთვარეზე კოსმოსური სადგურის ასაშენებლად

ნონა ითაშვილი

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე რამიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021 წ

## განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნონა ითაშვილი

22.06.2021

## აბსტრაქტი

კაცობრიობის პროგრესი დღეს ყველა სფეროში ჩანს. მიღწევები გვაქვს როგორც ტექნოლოგიაში, მედიცინაში, მშენებლობაში, ხელოვნებაში ასევე კოსმოსის შესწავლაში. ადამიანის შემოქმედებითობა და გამომგონებლობა ყველა სფეროს ეხება.

ადამიანის ერთ-ერთი ინტერესის ობიექტი არის კოსმოსი და ციური სხეულები. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ეჯიბრებიან ერთმანეთს კოსმოსის დაპყრობაში, აწყობენ სხვადასხვა მისიებს მთვარეზე, მარსზე... აქვთ სურვილი სხვა პლანეტების მონახულების და შესწავლის, გვინდა ადამიანებმა მეტი ვიცოდეთ ჩვენი წარმომავლობის და მომავალის შესახებ. ასევე შევძლოთ სხვა პლანეტების ათვისება. ნასა ამ სფეროში ერთ-ერთი მოწინავეა.

ერთ-ერთი უახლოესი ციური სხეული არის მთვარე. მთვარის შესწავლის გარდა, მასზე სადგურის მოწყობის შემთხვევაში უფრო მარტივად არის შესაძლებელი კოსმიური მოვლენების შესწავლა, რაკეტების გაშვება დანარჩენ პლანეტებზე, რადგან მთვარეზე ნაკლები გრავიტაციაა. უფრო მარტივი იქნება დედამიწისკენ მომავალი საფრთხეების განჭვრეტაც, მთვარეზე სიცოცხლის ჩატანა და მისი განვითარება, ეს იქნება ადამიანთა კოლონიზაციის შესანიშნავი იდეა.

კვლევაში შესწავლილი არის მთვარის პირობები კაცობრიობის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე. აღწერილი არის მისი მახასიათებლები, სადგური-კოლონიის განვითარების პოტენციური ადგილები და მშენებლობისთვის გამოსაყენებელი ხერხები. უმეტეს წილად ეს ყველაფერი შესრულებადია მომავალში, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთმა მკითხველმა ფანტასტიკის ჟანრი დაინახოს.

**საკვანძო სიტყვათა ჩამონათვალი:**

მთვარე, კოსმოსი, კოლონიზაცია, მშენებლობა, სადგური, გრავიტაცია, რეგოლიტი, კაცობრიობა, ტელესკოპი.